ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘ

№ 901 ხუთშაბათი, 29 ივნისი 1917 წ. № 901

რუსის ჯარი წინ მიდის. ხასტიკი ბრძოლა გალიჩის გზებზე.— მინისტრები ტერეშჩენკო, წერეთელი და ნეკრასოვი ფრონტზე გაემგზავრნენ.—ჰინდერბურგი და ლიუდენდორფი ბერლინში ჩავიდნენ სათათბიროდ.—ჩინეთში რესპუბლიკის ჯარი ჰეკინზე მიდის.—ინგლისის ნაღმოსანი ჩასძირეს გერმანიის წყალქვეშამ.— დამთავრდა მ. და ს. საბჭოების ერილობა.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კაკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამკლერო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამკლერო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო ფურცელში“ (კ. თავართქილაძისეული „ნადიდა“) ბარნის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კაკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის აღრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели“, поч. яш. 190.

ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 12—29

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სიდონია ალექსის ასული, შვილები: ილიკო, ნიკო, ანნა, თამარ და მაშო რუსიშვილები, და ანნა ნიკოლოზის ასული უთმწილიძისა, რძალი ელენე პავლეს ასული რუსიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 25 ივნისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე რუსიშვილი.

ჯანაზეიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე (თბილვილის შესახვევი № 10) დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 29 ივნისს. მიცვალებულს მიასვენებენ სამების ეკლესიაში, დილის 10 ს. ხოლო წესს შემდეგ პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

ტფილისის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალაქის კასირი

სტეფანე გერასიმეს ძე არამიანცი

ჯანაზეიდი ოთხშაბათს, 28 ივნისს, საღამოს 7 საათ. ჯიგარაშვილის ეკლესიაში, სომხის მაზარზე. გამოსვენება 29 ივნისს დილის 11 ს. იმავე ეკლესიისდან ლიუტერანთა სასაფლაოზე. 767.

მშობლები ალითი და ვასტანგი, ძმები: ვიქტორი, გერონტი და კალენიკე (კოლა), დები: იადონა და პეტანგი, რძლები: ანნა და მარო ლომჯარიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 27 ივნისს დილით გარდაიცვალა

ესტატე ვასტანგის ძე ლომჯარია

დაკრძალვა მოხდება დღეს 29 ივნისს, გამოსვენება მის. საავადმყოფოდან. წირვა დაიწყება დილის 10 ს. ანდერძის აგება 12 ს. იმავე საავადმყოფოს ეკლესიაში, რის შემდეგ ცხედარს წაასვენებენ წმიდა ნინოს სასაფლაოზე.

ერთი ჯგუფი მკერვალი მეშვებისა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 27 ივნისს, დილით, გარდაიცვალა ამხანაგი

ესტატე ვასტანგის ძე ლომჯარია.

დაკრძალვა მოხდება დღეს 29 ივნისს, გამოსვენება მის. საავადმყოფოდან. წირვა დაიწყება დილის 10 ს. ანდერძის აგება 12 ს. იმავე საავადმყოფოს ეკლესიაში, რის შემდეგ ცხედარს წაასვენებენ წმიდა ნინოს სასაფლაოზე.

ტფილისის კომერციული სოც.-ფედ. სარეფორმიუნციონ პარტიისა

ოდეს, 29 ივნისს, ელექტრო-თეატრ „ალმოლოს“ დარბაზში (ბიბიეფის პრ.) გამართავს საჯაროო ლექციას რუსულ ენაზე. პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორ-დოცენტი

ᲐᲚᲕᲐ ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ

წაიკითხავს:

ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲘᲗᲮᲘ.

დასაწყისი ნაწუთდ. 12-ნახ. ს.

ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. მოწვეულია ყველა პარტიის წარმომადგენლები. ბილეთები ამ თვითვე (ორივე ლექციისა) იყიდება დილით „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში 27 ივნისიდან დილის 9—3 ს., საღამოთი 7 საათიდან სპრიე „ძმურ ნუგეშში“. ლექციის დღეს კი ახალ კლუბისა ტ ალოლის კასაში.



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ **ᲪᲘᲠᲙᲘ** ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ

ᲫᲛ. ᲔᲥᲕᲘᲞᲝᲡᲔᲑᲘᲡᲐ

მიზეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთარი ახლად შეკეთილი. „პალატლიონის ᲮᲐᲜᲓᲐᲛᲘᲗᲘ ᲕᲘᲜᲝᲡᲐ, ᲓᲘᲓᲘᲡ. 19.00 დღეს, 29 ივნისს, გაიმართება

ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲒᲐᲣᲚ-ᲒᲚᲐᲓᲘᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ

ეკრანის ყველა მსახიობთა მონაწილეობით. გასტროლიორ სახელგანთქმულ ინიციატორის Ჯ. ᲓᲔᲓᲐᲜᲔᲚᲘᲡᲐ, Ქ-ნ ᲔᲚᲔᲜᲐᲜᲔᲚᲘᲡᲐ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲚᲘᲡᲐ, Ქ-ნ ᲛᲐᲓᲚᲔᲜᲐᲚᲘᲡᲐ, ᲫᲛ. ᲕᲘᲜᲪᲔᲜᲢᲘᲡᲐ, ანდერსონი, არნოლდ შეკოლადის ტ. სხვა.

პიდობამბ 5 ᲬᲣᲗᲘᲡᲐ: 1. ინდოელი ჯოე-მორა და ზაგორუიკო, 2. ბელა სტერნი და ბრონეწოსე

შეტევას სტანისლავოვის დასავლეთით ავსტრიელები და გერმანელები ენერგიულ წინააღმდეგობას გვიწევენ; სასტიკი ბრძოლაა გალიჩის გზებზე სოფ. ბუჩაკის, პატიოსნის და პაველჩეს რაიონში უკანასკნელ სოფლის ქუჩებში ხიშტებით იყო ბრძოლა რომელიც დამთავრდა მტრის სრულის დამარცხებით. საღამოს რუსის ჯარი მიადგა მდინარეს ლიუსტკოის და დიაკევა ლემტკოოულო, ბუცისკი და პატიოსნი. მტერი უკან იხევს ლომნიცას მდინარისაკენ. ორი დღის განმავლობაში რუსის ჯარმა სტანისლავოვის დასავლეთით გაარღვია მტრის ფრონტი 20 ვერსის სიგრძეზე და 4—10 ვერსის სიღრმით.

რუმინიის და კავკასიის ფრონტზე არაფერი ცვლილებაა.

პარიზი, 26 ივნისი. ოფიც. უწყება. ფლანდს სუბრეთისკენ შუა ღამისის არტილერიის ბრძოლამ[illegible]ფრიად გაცხარებული ხასიათი მიიღო. გერმანელებმა იერიში მიიტანეს პანტეზზე, მაგრამ იერიში მოვიგერიეთ ლებერტატის და ეხნიე შეტევის ანალოს ჩვენმა ჯარებმა შეუტიეს წარმომეულ პოზიციებზე გამაგრებულ გერმანელებს და წაართვეს კიდეც ეს პოზიციები. ჩვენი 12 ბატალიონი იღებდა მონაწილეობას, გერმანელებს დიდი ზარალი მივაყენეთ. შამპანში მოულოდნელად დაგვეცა გერმანელებს რაზმი, მაგრამ ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს. გარეის ტყეში მხვრავეთის შეტაკება მოხდა ჩვენებმა დაატყვევეს მრავალი გერმანელი.

პარიზი, 26 ივნისი ოფიც. უწყება „ჟორ“ სიმაღლეზე გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. კარ-პატის რაიონში გერმანელები თავს დაგვიხვნენ, მაგრამ მტერი უკან ვაქციეთ. დანარჩენ ფრონტებზე საყურადღებო არაფერი მომხდარა. სამხედრო ოპერაციები ბალკანეთ ალმოსავლეთში. ცრნის ზიდამოში მტერმა შეუტია ფრანგის ჯარიებს. მონასტირის ჩრდილოეთით საარტილერიო დუელი სწარმოებს.;

უცხოეთი

ბერლინი, 26 მონარქიულმა მთავრობამ ოფიციალურად შეატყობინა დიპლომატებს, რომ პეტერნბე მოდის რესპუბლიკის ჯარი „რომლის საწინააღმდეგოდ გაგზავნილია მონარქისტების ჯარი.

ახალი ამბავი

ამბ. შალვა ნუცუბიძე, პეტროგრადის უნივერსიტეტის ჰოიგან დოცენტი დღეს, დილის 12½ ს. კოთხელობს თეატრ „ბოლოლში“ საჯარო ლექციას რუსულ ენაზე: „რეკონსტრუქცია და ეროვნული საკითხი“. მოწვეული არიან ყველა პარტიის წარმომადგენელნი. დასასრულ გაიმართება კამათი. ეს ლექცია ამბ. ნუცუბიძემ წაიკითხა ქუთაისს რამდენიმეჯერ და დიდძალი ხალხიც ესწრებოდა.

ნიკ. ლოლიშვილის ანდერძის გამო. ქ. შ. წ.-კითხვის გამგეობ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, ნ. ლოლიშვილის ბიჭი დატოვებულ თანხის საჩუქრად 690 მან. გაუგზავნოს ბ[illegible]ოურის განყოფილებას სოფელს რგანში წერა-კითხვის გასაგრცელებლად.

მაწაგლებელთა კურსების მოსაწყობად სიხუმში ქ. შ. წ.-კოიხვის გამგეობ. საზოგადოებას სიხუმის მასწავლებელთა კავშირმა ნივთიერი დახმარება სთხოვა. საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება შეუძლებელად სცნო ნივთიერ ხელშოკოერის გამო.

დღეს, სალამის ქართულ კლუბში ქართველ მხედართა კავშირი თავის სასარგებლოდ ჰმართავს საღამოსერინობას. იმედია ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ამ სიმპატიურ ნორჩ საზოგადოებას და მრავალდ დაესწრება საღამოს. საღამოზე იქნება საზანდარი, ზუონა და სხვა.

ქ. შ. წ.-კოიხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ ნივთიერ ხელშოკლოების გამო შეუძლებელად სცნო დამატებით ფულის გადადება ზუგდიდში მასწავლებელთათვის გამართულ კურსების ხარჯის გასასტუმრებლად. წინად, როგორც ვწერდით, საზოგადოებამ 1000 მან. გადასდო.

კიდე „ინტერნაციონალ“-ს, რომელიც გოლოვინის პროსპექტზე ვიხსნება რამდენიმე საზოგადოების თაოსნობით, 3-დან 17 ივნისამდე შემოსავალი ჰქონია 18,661 მან. 96 კაპ., ხარჯი—10,070 მან. 46 კ. წმინდა ნოგბეს დარჩენია 8,591 მან. 50 კაპ.

პეტრეპავლოვნა. ივლისრის პეტრე-პაველს სასაფლაოს ტაძარში დღეს, 29 ივნისს მშრომელთა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოსაყენო ლიტანდი.

ქართული ბატალიონები. როგორც **ქართველთა სამხედრო კავშირის** ატაბუნინებენ პეტროგრადიდან დეკემბერი, საზეიმო მოავრთის ნება დაურთავეს ქარ. სამხ. კავშირის წევრისთვის პოლკ. **გარდაფხაზისთვის** შედგენოს ქართული ბატალიონი, ხოლო შეპაბს-კაპიტან **ცაგურიასთვის** შედგენოს სამთო არტილერიის რაზმი, რომელნიც შეეკენ ქართველ ცხენოსანთა პოლკში.

ქართველ იუნკრების კრება. ორშაბათს, 26 ივნისს, სალამის 7 ს., ახალ კლუბის სათეატრო დარბაზში შესდგა ტფილისის გარნიზონის ქ. იუნკრების კრება. კრების თავ[illegible]ჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნნა ამხან. პლატონ ლეგეკა, ამხანაგად იუნკერი ამ. ჩაჩავა და მდივნად უნტერ-ოფიცამბ. ჩახუნაშვილი. ამხ. პლატონ ლეგეკამ კრებას გააცნო მიზანი მათი შეკრებისა და შემდეგ სიტყვა მისცა ქართ. სამხ. კავშირის მდივანს ამხან. ც. ცაგარელს, რომელიც მიესალმა კრებას ქართველ ძმედართა კავშირისა. კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუციები: აარჩეულ იქმნას 9 წევრისაგან ტფილისის გარნიზონის ქართ. იუნკრების ორგანიზაცია, და აქედან გაიგზავნოს ქართველ მხედართა კავშირის კომიტეტში არა ნაკლებ სამი წევრისა, გაეგზავნოს სამხედრო მინისტრის კერენსკის დეპეშა, რომ ქართველი იუნკერები აფიცრობის მიღებისთანავე დატოვებულ იქმნენ კავკასიის ოლქში, პირი დეპეშისა გაეგზავნოს კავკასიის კომისარს ხარლამოვს და ქართველ ხმედართა კავშირის კომიტეტს. ამავე დროს დარბაზში შემოდის ამხანაგი ი. გედევანიშვილი, რომელსაც მხურვალე ტაშით შეხვდნენ ამხ. ი. გედევანიშვილი ერთხმად აირჩიეს სამაბოო თავმჯდომარედ.

ბალის სკოლისთვის საჭირო წიგნების სიის შედგენა ქ. შ. წ.-კ. ბ. საზ. გამგეობამ სასკოლო სექციის თავმჯდომარეს ლ. ბ[illegible]ვაძეს მიანდო.

საქ. სოც.-ფედ. პარტიაში

კრება ვერაზე ხვალ, პარაკევს 30 ივნისს, საღამოს 7 ნახევარ საათზე ფშაოლეს ბინაზე დაწყებითი სკოლის შენობაში (არაგვის ქ. № 2) დანიშნული ვერის რაიონის სოციალისტ-ფედერალისტთა და თანაგრძნობათა კრება. ამხანაგებს სთხოვეთ უეჭველად დაესწრონ კრებას და ნერგ დაიგვიანებენ.

კრება დიდუბეში. შაბათს, 1 ივლისს დიდუბის ეკლესიის სკოლის შენობაში დანიშნულია საღამოს 7 ს. დიდუბის რაიონის სოციალისტ-ფედერალისტთა და თანაგრძნობათა კრება. ამხანაგებს სთხოვეს უეჭველად დაესწრონ კრებას.

კრება ნაძალადევში. პარასკევს, 30 ივნისს საღამოს 7 ს. დანიშნულია მეორე კრება ნაძალადევის სოციალ-ფედერალისტთა და თანაგრძნობელებისა. ამხანაგებს სთხოვეს დაესწრონ.

კრება ერთობის უბანში. დღეს, 29 ივნისს, საღამოს 7 ს. სამოვრალი ქ. ქ[illegible]ლაშვილის ბინაზე დანიშნულია ერთობის უბნის სოციალისტ-ფედერალისტთა და თანაგრძნობთა კრება. ამხანაგებს სთხოვეს უეჭველად დაესწრონ ამ კრებას.

ქუჩის რაიონის კრება სოციალისტ-ფედერალისტების და თანაგრძნობათა მოხდება დღეს, საღამოს 7 ს. ამხანაგებს სთხოვეთ უეჭველად დაესწრებენ კრებას.

სოფლად და ქალაქად

სამხრეთიდ.

სამტრედიის რაიონია მასწავლებელთა კავშირის განყოფილება აქით აცხადებს, რომ შაბათს, 1 ივლისს, დილის 10 საათზე, სამტრედიის უმაღ. პირ. დაწყ. სასწავლებელში დანიშნულია სამტრედიის რაიონის. მასწ. ყრილობა გასარჩევია: 1) კავკასიის მასწ. ყრილობის ანგარიში. 2) მთავარ გამგეობის მოხსენება. 3) მიმდინარე კითხვები.

ლანჩხუთი.

18 ივნისს შედგა ჭალთა ყრილობა სადაც უნდა აერჩიათ წარმომადგენლები ამიერ კავკასიის გლეხთა ყრილობაზე გასაგზავნი, მაგრამ სოციალ. დემოკრატების ორგანიზაციამ ჩვეულებრივად შეიტანა გლეხების აზროვნება და მათი საარჩევნო გეგმა წარუდგინეს მათ. სოც. დემოკ. ორგანიზაციის

ქართველი დენდი*)

გიშრის თვალები მეჩრდილება გიშრის ლერწამში,
ალვე ავენთო, ალბად ალიეე მოვიბინდები,
მე საუკუნე გარღვამხდება ხშირად ერთ წამში,
ხშირად ერთ წამში,—საუკუნეს გადავფრინდები.

გრძნობათ სიტარმე მოეწყურვე ენა მზეობა,
სიტყვა გრძნობ-ს არტახია, მისივ საბიბი,
ლეესაც ვით გეშინ, ძმაკა უფერო ერთსახეობა,
თვალს ნუ მიუტერებთ, მე თან მახლავს მუდამ ნიღაბი.

ჩემთან მოვედოთ, ვისაც გრძნობა მოგპარებენათ,
მიეკარის ქალები ძველ პოეტებს რომ ჩყვარებათ.

ელვის ღიმილით ძოწეს ბაგე თუ გაეიღლიე,
პირზე მეკარა: საფო, ნესტან, ან ბეატრიჩე.

ყველა ქალაქებს მირჩევნია ის ადგილები,
სად ნაცარტატა დაეგიათ ელვურ ურდოთა,
სად უმეტესდროდ გადაცვლილან მეფის შვილები,
ბნელი კედლები მოსტრიალ გადასულ დროთა.

როს ერთის წამით საუკუნეს გადავფრინდები,
ნაკრეულ პალატთა შეხედავზე აეკვეთინდები...

სულ ამათა მზეგადასულთ მოთქმა და ფერვა,
მიეკარს: ოცნება, შაირობა, ჩაცვა, დაბერვა.

და ჩემს შემდეგმად მომავალთა თუ გავახსენდი,
პირველად მე თუ მეწოდება—„ქართველი დენდი“!

კ. ალაშვილი.

*) ეს ლექსი წაიკითხა ავტორმა 21 ივნისს საქართველოს სოც.-ფედ. პ. მიერ გამართულ საღამოზე.

ამიერ-კავკასიის გლეხთა წარმომადგენლების ყრილობა

მიწის საკითხი ქართულ სექციაში.

28 ივნისის დ-ლის სხდომა.

სხდომა იწყება 9 საათზე **ლ. ნათაძის** თავმჯდომარეობით.

თ. კოკაძე დაინიშნა თხოვლობის მიღებულ მას სიტყვა შ. ნუცუბიძის საპასუხოდ.

თავმჯდომარე რეგლამენტის დაცვას მოითხოვს და კრების დასტურით არ აძლევს სიტყვას. გრძელდება კამათი მიწის საკითხზე. სიტყვა ეძლევა ამხ. სამსონ დადიანს.

ამხ. სამსონ დადიანი. ამხარაგებო, დღეს მე რომ ათი წუთი კი არა, ერთი დღეც მეგრძნეს საღაპარაკო, მაინც ვერ დაგარწმუნებენთ, როგორაც თქვენ შეგენებოთ პარტიის წევრები ბრთ, უმოვალსობა, მაგრამ მაინც ვეტყვით ოთასაც ჭეეკრიბის საკრთველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეგიონალეციო პარტია მიწის საკითხზე.

ამხანაგებო, ჩვენი პროგრამა ამ სიტყვებით იწყებენ: „ჩვენ სოციალისტებები ვართ და ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მიზანი, რომელსაც ჩვენ ვეცადოფვეთ, არის სოციალიზმი“. სოციალიზმი ეწოდება ამ წეს-წყობილებას, რომელშაც უნდა გამოსცალოს არსებული ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წეს-წყობილება, რომელიც ადამიანებს ერთმანეთისა ერიძო ადამიანებად ანაწილებს. ასეთია მათი მიზანი, რომელიც უნდა გახაგებდეს ყოველ დღიურს მოქმედებასაც. ეს მიზანი ჩვენი ბრნის მაჩვენებელი და ჩვენი გზაც „ლენინზეა ჩვენს ბ.ნამეშ-პროგრამაში.

ჩვენი პროგრამებიც იმის მიხეედვითაა შემუშავებული, თუ როგორ ვეცქერით ჩვენ არსებულს წესწყობილებას და საზოგადოებრივს კლასებს. თქვენ იცით, რომ ერთ მხარეზე დგას კლასი ბურჟუაზიისა, რომელსაც დაუაკეთორებია მთელი საწარმოო იარაღები, რაც ბუნებას, ან მწრომელს ხალხს შეუქმნია. ეს ორი კლასი ებრძვის ერთმანეთს და ჩვენ, როგორც სოციალისტები, ვდგებეართ მშრომელ ხალხის ინტერესებს ნიადაგზე.

სოციალ-დემოკრატები ამ კლასებს ახასიათებენ უმთავრესად ამ ერთი თვისებით: ვისაც აქვს საკუთრება და ვისაც იგი არა აქვს. ეს უკანასკნელი პროლეტარი და მათი შეხედულებით მხოლოდ ისინი არიან სოციალისტურ იდეის მატარებელნი. ამიტომაც ისინი გლეხობასაც ათავსებენ ბურჟუაზიის კლასში. აი, აქა მაქვს სოციალ-დემოკრატიის კატეხიზმო, კომუნისტური მანიფესტი, სადაც სწერია (ისმის: „ვეიცით, ვეიცით, რაც სწერია, ბევრჯელ საკმარ არ არისო“). ინ, გამართლდა ჩემი სიტყვა: შეგნებული პარტიის წევრები ხართ და არა უპარტიო გლეხები მეთქი, უპასუხებს ამხ. დადიანი და განაგრძობს: აქ სწერია, რომ გლეხობა არა თუ არ არის რევოლუციონერთა ელემენტი, იგი რეაქციონერიაა, რადგანაც ებრძვის ბურჟუაზიას და ამით ისტორიას აფერხებსო. გლეხი მარქსისზმის შეხედულებით, პირდაპირი კანდიდატია პროლეტარიატისა, იგი დღეს თუ ხვალ უეჭველად გაპროლეტარდება, მიგა ქარხანაში, მის კარებს დააკაკუნებს, გამოიხარეზეა მის ქვაბში და მხოლოდ ეაშინ გახდება სოც.-დემოკრატების ყურადღების ღირსი. მანამდის კი სოც.-დემოკრატები მხოლოდ ბებიობებს უეწევენ ისტორიას და ამ გაპროლეტარების კანონს ხელს უწყობენ. რადგანაც ეს ასეა, იმათი იგარარული პროგრამაც სწორედ ისეთი უნდა იყოს, რომ ხელს კი არ უშლიდეს, ხელს უწყობდეს ამ პროცესს.

სოციალისტ-რევოლიუციონერები ტ ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები კი ვამბობთ, რომ არ არსებობს ის გადაუვალი კანონი გაპროლეტარებისა, რომ გლეხობაც ისეთივე მუშაა, როგორც ქალაქის მეშა, რადგანაც ჩვენ კლასს ვიხასიათებთ აგრადვე იმით, ცხოვრობს ის კლასი სხვისი ექსპლოატაციით, თუ არა, ყველუს იგი ვინმე თუ არა და გლეხობა სხვას კი არა ყველუს, თითონ იყვლიფება. მაშასადამე სოციალიზაციის განხორციელებს შემდეგ ფერო მეეიდო ქვეშინი შეიკვრის ქალაქისა და სოფლის მუშის შორის, მიტომ რომ საბრძოლველად ერთნაირად იქნებიან დაინტერესებული. თუ კი ჩვენ საკუთრებას არ მოვსპობთ მიწაზე და ყუდეგაყოდვას არ დავაკანონებთ, მაშინ გლეხებს მეშაუფლეთა ნაცვლად სხვა-ბატონი გაუჩნდებათ—კაპიტალისტი. სოც.-ფედერ. კი საჭიროდ მიიჩნიან გლეხთა დარაზმვით საიმეელო ზურგის ჯარი შეუმქნან პროლეტარიატს. მაშინ მეშმთა გამარჯვება უზრუნველყოფილია. ეს 1905 წელმაც დადგენა, რომ თუ ზურგი გამაკარებული არ არის, მეშთა კლასი ვერ გამარჯდებს. გლეხობამ არ უნდა ფლადოტოს თავის ისტორიულ დანიშნულებას და მრითხოს მთელი მიწა მთელ-თავისუფლებასთან ერთად.

ლ. ნათაძე. მე მინდა გაგიჩვენოთ რა არის სოციალიზაცია და რა არის მუნიციპალიზაცია. სოც.-დემოკ ისტები სოც.-ფედერალისტები და სოც.-რევოლუციონერები ვამბობთ მიწა გლეხს უნდა მიეცესო. კეთილი. აქ განსხვავება აა არის. განსხვავება იწყება შემდეგში. სოც.-ფედერალისტები წვრილ მესაკუთრეებსაც უსპობენ კერძო საკუთრებას, ჩვენ კი არა. ამას ბრც სოც.-რევ. და ბრც სოც.-ფედ. აშკარათ არ ამბობენ, მაგრამ შევიცდები დაგანახოთ, რომ ეს ასეა. სოციალიზაცია ჰკულისსმობს მიწების გადანაწილებას რამდენიმე წლის შემდეგ. იქნებ დღეს არ ჩამოართვან წვრილ მესაკუთრეს, მაგრამ ცოტა ხანში 5—6 წელში ხომ უნდა ჩამოერთვას გადანაწილების ძალით? ამბობენ მთელი რუსეთის გლეხობა მოითხოვს სოციალიზაციასო. ეს სავსებით არაა მართალი. ჭინდაც ასეც იყოს რუსის გლეხობას ხელ უნდა მოგვიბ.ძოს ოთოგრაც უფრო შეგნებულთ და არა ჩვენ მათ. თუმცრი მიწათმფლობელობა დაბავსებული ინსტიტუტია. იქ, საცა არის დეე დარჩეს ეს, მაგრამ საცა ასეთი წესი უკვე გინდოს რა საჭიროა შემოვიდოთ და ცხოვრება ხელოვნურად უკან დავსწიოთ?

ამის შემდეგ სიტყვა ეკუთვნოდა **ამხ. ი. ანთაძეს.** რომელიც კრებაზე არ იყო და თავისი სიტყვა გადასცა **ამხ. მ. საყვარელიძეს.** კრებამ ამ. საყვარელიძეს არ მისცა სიტყვა.

მრავალმა ორატორმა ილაპარაკა. ყველა ისაა ამბობდა, რომ მუშათა პარტია ყველაზე ეარი პარტიაა და ამიტომ გინდაც სხვა კარეს გვეუბნებოდეს არ გვინდაო. განუკეთრეკენთ ბაზს უსვამდენ ელეხის მესაკუთრის ეს ქნა. ზოგიერთმა სთქვეს, რომ ელეხობამ დაგვაბარა თუ მენეკიანალიზაცია არ მიგიღიათ ცოცხალს არ გაგიშვებთო. კრება ამისთანა განცხადებას ტაშის გრიალით ჰხვდებოდა. უკიდეგანო შეობეშდილებას ადგილდა მიტ-ნგბური ლაპარაკი აგიტატორ-დელეგაციებისა.

კამათი დასრულდა ბოლო სიტყვა მიეცათ მოხსენებლებს.

აკაკი ჩაჩავა. სამაუფო სიტყვაში აღნიშნავს, რომ კრება უსამართლოდ მოეპარა მას, პირველად მიეტანეთ რეგლამენტი, რომლითაც მოიხსენებელ ეკუთვნის ნახევ. საათი შეკვეცეს სწორედ მის შესახებ და ამით საშეალება წაართვეს უკანასკნელ იმ 30 ორატორს, რომლებიც მის წინააღმდეგ გამოვიდენ.

შეეჩერდეთ ზოგ შეცდომებზე, ამბობს იგი, აქ ოპონენტებს ჰგონიათ, რომ ჩვენ გვინდა სრული სოციალიზმი განვაორიელეთ სოფლად დღესვე. ჯერ ერთი, რომ სოციალიზაციას ჩვენ ერთის დაკვრით ვერ განვაორიელებთ, ამიტომ ჩვენ მხარს ეუჭირთ სახნავ-სათეს მიწების გასსაზოგადოებრივ[illegible]ებს. მაგრამ თუ ამაკე არ მ.ობრ[illegible]ხდა ჯერ-ჯერობით კოლეკტური დამუშავება, ჩვენ ინდივიდიფალ მეშობას ეხლავ არ ვებრძვითო; მაგრამ იმიდია, ხალხი მალე დაინახავს ამხანაგობათა უპარტესობას და გადავიდეს კოლეკტიური შრომა. სრული გათანაბლაურება მიწოთ სარგებლობისა თანდათან უნდა გატარდეს შრომის პრინციპის და მოთხოვნილების ნორმის შეთანხმეთ. დაწერილებით ეს გარდამავალი ხანა მინიტერ ჩერნოვის მოხსენებაშია აღნიშნული. მეორე ისა, რომ სოციალიზაცია არ არის სოციალიზმი, რადგან მიწის ნაყოფი ისევ ქალაქში ბაზარზე გამოაქვეთ და აქ მთელის სიძლიერით ეყოფიფება ბლეხობა, ამასთანავე მას აბზობს სხვა და სხვა სახის ჩარჩები და მეეაზწეები, საქალაქო ნაწარმოები ბის ხელი არ არის და მრავალი სხვ. მაგრამ ამაში მთელი ძლიერება მიწის სოციალიზაციისა რადგან შეთანხმებული ბლეხობა დაინტერესებება პროლეტარიატს ბრძოლაში ხელი გაეწიოდოს და საბოლოოდ დასცეს ბურ-ჟუაზიული წყობილება— ამართოს სოციალიზმის დროზე. ამმობენ მარქსისზმის გზა უფრო მოკლეა სოციალიზმისაკენო, შეიქცდონა, რადგან ინგლისის კაპიტალიზმის განვითარება არ არის ტაპიური ყველა ქვეყნებისათვის და ბრავალან იგი წინააღმდეგ ტენდენციას იჩენს. ამ ორატორს მოყავს მაგალითები წვრილი მფლობელობის ზრდისა ტ კონცენტრაციის წინააღმდეგი სტატისტიკური ცნობები.

ს.-დ. სტოლიპინთან ერთად უბარიათ რუსეთის თემის დარღვევა მაგრამ მათი მოლოდინიც არ გამართლდა და, მიუხედავად მრავალ პრიეილეგიებისა. გლეხობა თემიდან არ გაყოდა გარდა მცირე რიცხვისა (25%). ეჯარია, მოხსენებლის აზრით, მოგონილია სპეციალურად კაპიტალიზმის ძლევამოსილობისათვის, მაგრამ დროა უკეგდებულ იქმნეს მარქსიზმის დოგმატიური დებულება კაპიტალიზმის ინანენტურ ძალებზე—ითქვას ბაკარიდ, რომ კაპიტალიზმი და პროლეტარიატიეა არ არის ერთად ერთი გზა სოციალიზმისაკენ, რომ არსებობს, უფრო ახლო და რაციონალური გზა. ამბობენ ს

საზოგადოდ, ამბობს ორატორი, როგორც მოპირდაპირე მომხსენებელს, ისე ჩემს ოპონენტებს არსებითი საბუთი არ მოუყვანიათ სოციალიზაციის წინააღმდეგ; ყველანი ემყარებიან მარტო ერთ-—ინტისოციალისტურ ფსიხიკას ტ, ბურჟუაზიულ იდეოლოგიებთან ერთად, ცდილობენ გაიღვივონ ბლეზი ეკრძო საკუთრების აღლო. ანტისოციალისტურ პოზიციაზე სდგანან მოწინააღმდეგენი და გაზმაგებით იცავენ ეკრძო საკუთრების ინსტიტუტს და ამ დროს მინდა მათ ეკითხო—ვის იცავენ ისინი ბურჟუაზიას თუ მშრომელ ხალხს? ვვისაყვედურებ კოლსთა ბრძოლას აფუჩეჩებთო, ეს ჩვენი პროგრამის არ ცოდნაა, რადგან ყველამ ვინც იცის ოდნავ მაინც ჩვენი ფილოსოფიური მსოფლიდეგი და კლასებად დაყოფის თეორია, მისთვის აშკარაა, რომ ჩვენ კლასობრივ ნიადაგზე ვდგავართ, თუმცა კლასთა ბრძოლის გარეშე ვიცქირებთო. მაგრამ კლასთა დაყოფის პრინციპი ჩვენთვის სხვაა: ს.-დ. გონებით რომ კლასები ეკრძო საკუთრების მიხედვით იყოფიან, ვისაც ის გააჩნია—ბურჟუაა, პროლეტარის მტერი, ვისაც არარა აქვს პროლეტარია და კაპიტალზმს ებრძვის ამით მშრომელი გლეტაკკობა, დემოკრატიის ფდიდესი არმია სოციალიზმისა მტარდაა დასახული. ჩვენი პრინციპი კი ეკმპლოტაციის მომეტენია: ვინც თავის შრომით სცხოვრობს და სხვას არ ყვლეფს, მას შეეძლია სოციალიზმის მაღალ იდეებს მისწვდეს, მითი დაინტერესდეს,—ეს არის დიდი რაზმი შრომელ გლეზობისა და პროლეტარებისა, ხოლო ვინც სხვას ყაენებს ექმპლოატაცია, სხვისი შრომით სცხოვრობს ბურჟუა, კაპიტალისტურ წყობით დაინტერესებული.

ორატორი აღნიშნავს, რომ ზედმეტია დანაჩრენ ოპონენტებზე ლაპარაკი, რადგან ყველანი ერთსა და იმასვე იმეორებენ და, სამწუხაროდ, აღიარებენ, რომ „რაც უნდა მოხდეს მაინც სოც.-დემ. პროგრამას დაფუძერთ მხრისო“. ასეთ ვითარებაში შეშფოთებულ გ.-მრკვეა შეუძლელი ხდება.

ბოლოს ვინიდგან დრო უთავდება მოპასუხეს, აღნიშნავს, რომ თუნდაც მცირედმა ნაწილმა, მაგრამ გაბედულად დაუჭიროს მხარი სრულიად რუსეთის, უკრა

საზოგადოდ, ამბობს ორატორი, როგორც მოპირდაპირე მომხსენებელს, ისე ჩემს ოპონენტებს არსებითი საბუთი არ მოუყვანიათ სოციალიზაციის წინააღმდეგ; ყველანი ემყარებიან მარტო ერთს—ანტისოციალისტურ ფსიხიკას ტ, ბურჟუაზიულ იდეოლოგიებთან ერთად, ცდილობენ გაალვივონ ბელეზში კერძო საკუთრების ალღო. ანტისოციალისტურ პოზიციაზე სდგანან მოწინააღმდეგენი და გაჭმაგებით იცავენ კერძო საკუთრების ინსტიტუტს და ამ დროს მინდა მათ ვკითხო—ვის იცავენ ისინი ბურჟუაზიას თუ მზრობელ ხალხს? გვისაყვედურებ კლასთა ბრძოლას აფუზრებენთო, ეს ჩვენი პროგრამის არ ცოდნაა, რადგან ყველამ ვინც იცის ოდნავ მაინც ჩვენი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა და კლასებად დაყოფის თეორია, მისთვის აშკარაა, რომ ჩვენ კლასობრივ ნიადაგზე ვდგავართ, თუმცა კლასთა ბრძოლის გარეშეც ვიცქირებთან. მაგრამ კლასთა დაყოფის პრინციპი ჩვენთვის სხვაა: ს.-დ. გონებით რომ კლასები კერძო საკუთრების მიხედვით იყოფიან, ვისაც ის გააჩნია—ბურჟუაა, პროლეტარის მტერი, ვისაც არარა აქვს პროლეტარიატია და კაპიტალიზმს ებრძვის ამით მზრობელი გლეხკაცობა, დემოკრატიის ფედერალი არმა სოციალიზმისა მტრადაა დასახული. ჩვენი პრინციპი კი ექსპლოატაციის მომენტია: ვინც თავის შრომით სცხოვრობს და სხვას არ ყვლეფს, მას შეფაერია სოციალიზმის მაღალ იდეებს მისწვდეს, მითი დაინტერესდეს,—ეს არის დიდი რაზმი მზრობელ გლეხობისა და პროლეტარების, ხოლო ვინც სხვას აყენებს ექსპლოატაციას, სხვისი შრომით სცხოვრობს ბურჟუა, კაპიტალისტურ წყობით დაინტერესებული.

ორატორი აღნიშნავს, რომ ზედმეტია დანარჩენ ოპონენტებზე ლაპარაკი, რადგან ყველანი ერთსა და იმასვე იმეორებენ და, საშუალოდ, აღიარებენ, რომ „რაც უნდა მოხდეს მაინც სოც.-დემ. პროგრამას დაფეგერთ მბარსო". ასეთ ვითარებაში ექიმ-ბრალ-ბრალ-ბ. ... ...